www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 5 დეკემბერი, 2013 წელი. | №3422 (229) | ფასი 50 თეთრი

„ახლა ღობეების კი არა, ხიდების დროა"

გუშინ, ბრიუსელში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე, ალიანსის გენერალური მდივნისგან საქართველომ განახლებული გზავნილები მოისმინა. როგორც ანდერს ფოგ რასმუსენი ამბობს, ნატო-საქართველოს კომისიის შექმნის შემდეგ, მხარეებმა დიდი გზა გაიარეს და საქართველო ალიანსში გაწევრიანებას ცოტათი მეტად დაუახლოვდა.

რასმუსენი საქართველოს მიღწევების შესახებ ვრცლად საუბრობს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

მთავრობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავებას იწყებს

მთავრობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავებას იწყებს. სტრატეგიის დოკუმენტს სამოქმედო გეგმის მომზადება მოჰყვება. ამ საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია გუშინ სასტუმრო „რედისონში" საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. მან მთავრობის სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მთავრობის მიერ გაწეული სამუშაო შეაფასა. ღარიბაშვილის აზრით, სახელმწიფო პოლიტიკა ადამიანზე ორიენტირებული გახდა. პრემიერმა ჯანდაცვის, განათლების და სოციალური მიმართულებებით გადადგმული ნაბიჯები დაასახელა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის რთული პროცესის გაგრძელება აუცილებელია. როგორც პრემიერი აღნიშნავს, საჭიროა რეფორმების გატარება, რამაც შეუქცევადი უნდა გახადოს

სასამართლოს დამოუკიდებლობა, მედიის თავისუფლება და მის სარედაქციო პოლიტიკაში ჩაურევლობა, არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარება და მოქალაქეების ღირსეულ სოციალურ პირობებში ცხოვრება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ღარიბაშვილის შეფასებით, ხელისუფლების გამჭვირვალე მუშაობის და ხალხის წინაშე რეალური ანგარიშვალდებულების დამკვიდრებაა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ახალაია გაამართლეს, ჭარისკაცები დააპატიმრეს



ბაჩო ახალაია სააპელაციო სასამართლომაც გაამართლა. „სამხედროების წამების" და ზვიად აბესაძისათვის „უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის" საქმეზე თავდაცვის და შს ყოფილი მინისტრი უკვე მეორედ სცნეს უდანაშაულოდ. თუმცა, მეორე ინსტანციის სასამართლომ პროკურატურის საჩივარი ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა და აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული რვა პირიდან ორს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

უკრაინის ოპოზიცია ხელისუფლების სადღღეღამისო ბლოკირებით იმუქრება

ივა შილაკაძე

ვიტალი კლიჩკო და გვიდო ვესტერველე „მაიდანზე"

კიევში ევროინტეგრაციის მომხრეთა საპროტესტო აქციები გრძელდება და შეიძლება ითქვას ფართოვდება კიდეც. ოპოზიციამ მოახერხა უმაღლესი რადას მორიგი სხდომის ჩაშლაც, რადგან პარლამენტი სამშაბათს არ დათანხმდა მთავრობისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებაზე.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	5°C -20°C
ქუთაისი	7°C -3°C
ზუგდიდი	7°C -2°C
ბათუმი	5°C - 1°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

შენგელიას რეკორდული 7

მომრავლებული ტრავმიანობის გამო „ბრუკლინ ნეთსის" და ლამის მთელი ძირითადი შემადგენლობის ლაზარეთში გადაბარგებამ სათადარიგოებს გაუხსნა გზა. მათ შორის თორნიკე შენგელიასაც, რომელსაც ბოლო მატჩებია „ნეთსის" რიგებში მეტ სათამაშო დროს აძლევენ. ასე იყო „დენვერ ნაგითსთან" საშინაო შეხვედრაშიც, სადაც ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 17:39 წუთში მიმდინარე სეზონში მისთვის სარეკორდო 7 ქულას მოუყარა თავი.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ქართული ტრადიცია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობაა

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

4 დეკემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაცია ქალაქ ბაქოში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიას დაესწრო.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„ახლა ღობეების კი არა, ხიდების დროა"

პირველი გვერდიდან

„თქვენ პირობა დადეთ, რომ ავღანურ ძალებს 2014 წლის შემდეგაც მხარს დაუჭერთ. ასევე, ჩართული ხართ ჩვენს პროგრამაში, რომლის მიზანი ავღანური ძალების მომზადება, მათთვის კონსულტაციისა და დახმარების გაწევაა. საქართველომ, ასევე, გადაწყვიტა წვლილი შეიტანოს ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში. თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ ეროვნულ დონეზე. თავდაცვის სექტორში შთამბეჭდავი რეფორმები გატარდა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩატარებული თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნების გათვალისწინებით, ქვეყანაში დემოკრატია გაცილებით მყარია. შესასრულებელი სამუშაო კვლავ რჩება, მაგრამ, საერთო ჯამში, საქართველო ნატო-ს ძალიან დაუახლოვდა. საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში თქვენს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს მტკიცედ ვუჭერთ," - მიმართავს საქართველოს ანდერს ფოგ რასმუსენი.

გენერალურმა მდივანმა, სხდომის შემდეგ აღნიშნა, რომ მას სჯერა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე გავლენას არ მოახდენს. რასმუსენის თქმით, საქართველოსა და უკრაინას განსხვავებული გზები აქვთ არჩეული: უკრაინას, საქართველოსაგან განსხვავებით, ნატო-ში გაწევრიანება არ სურს. **საქართველოს ამბიციური რეფორმების გეგმის ამბიციური მიზანი ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციაა, რასაც საქართველო ბუნებრივად ეკუთვნის. ამიტომ, მჯერა, რომ ახალი მთავრობა ჩვენს თანამშრომლობას ახალ ენერგიასა და იმპულსს შესძენს. ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას მტკიცედ მივდევთ,"** - ამბობს რასმუსენი.

ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ შეხვედრის მონაწილეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული სამუშაოსა და რეფორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ალიანსის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები და ის პროგრესი, რასაც საქართველომ დემოკრატიის, თავდაცვის სფეროსა და სამართლებრივი რეფორმების გზაზე მიაღწია, უაღრესად დადებითად შეაფასეს. ისინი საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებს გამოეხმაურნენ და აღნიშნეს, რომ თავისუფალმა, სამართლიანმა და დემოკრატიულმა არჩევნებმა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაში მიღწეულ პროგრესს ხელი შეუწყო.

ნატო-ს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება მიულოცეს. სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში მიღწეული პროგრესი ნატო-სთან ურთიერთობაზე სათანადოდ აისახება.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება ავღანეთის «აისაფის»-ის მისიაში საქართველოს მიერ შეტანილ მნიშვნელოვან კონტრიბუციაზე გამახვილდა. ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატეს.

კომისიის სხდომის შემდეგ ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ „ფეისბუქის" პირად გვერდზე მაია ფანჯიკიძის სიტყვით გამოსვლა შეაფასა.

„საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ საქართველოს მიერ განხორციელებული პროგრესული რეფომების შესახებ კარგი მიმოხილვა წარმოადგინა. ამასთან, მან რეგიონის შესახებ ნათელი პოლიტიკური ანალიზი და ნატო-სკენ მიმავალ გზაზე საქართველოს ხედვა წარმოადგინა. როგორც ყოველთვის, მას საქართველოს სახელით, შთამბეჭდავი გამოსვლა ჰქონდა," - მიიჩნევს აპატურაი.

მაია ფანჯიკიძემ, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო ნატო-ს წევრი ქვეყნებისა და

«აისაფ»-ის ოპერაციაში მონაწილე პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრში. ფანჯიკიძეს სიტყვით გამოსვლის საშუალება ამ ფორმატშიც მიეცა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო გლობალური უსაფრთხოების საქმეში წვლილის შესატანად მზად არის. ამასთან, საქართველოს ხელისუფლება 2014 წლის შემდეგაც, ავღანეთში ნატო-ს ახალ საწვრთნელ მისიაში ქართველ სამხედრო ინსტრუქტორებისა და სამედიცინო პერსონალის მივლენას აპირებს.

შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა სწორედ ავღანეთში 2014 წლის შემდგომი გეგმები და ავღანეთში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

ნატო-ს მინისტერიალის ფარგლებში მაია ფანჯიკიძესა და ანდერს ფოგ რასმუსენს შორის პირისპირ შეხვედრაც გაიმართა.

საქართველოს საკითხი ყურადღების მიღმა არ დარჩენია ბრიუსელში მყოფ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს. მან ნატო-რუსეთის კომისიის სხდომის შემდეგ აღნიშნა, რომ მოსკოვი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების მომხრეა. **„მოვისმინეთ და შევაფასეთ საქართველოს ახალი მთავრობის მიდგომები. ვფიქრობთ, რომ ეკონომიკური, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები კვლავ გრძელდება და ეს ერთმანეთის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება, მით უმეტეს, მრავალწლიანი თანაცხოვრების მყარი საფუძველი გაგვაჩნია,"** - თქვა ლავროვმა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საუბრისას კი ლავროვმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სუვერენული სახელმწიფოები არიან. **„ჩვენ ვაღიარეთ ისინი და გავაფორმეთ ხელშეკრულებები მეგობრობისა და დახმარების შესახებ. ჩვენ მათ უსაფრთხოებას უზრუნველვყოფთ და იქ სამხედრო ბაზა გვაქვს. ეს ახალი რეალობაა, რომელიც აღიარებას საჭიროებს და ხალხის გონებაშიც ეტაპობრივად აღწევს. ის ფაქტი, რომ ჟენევის დისკუსიებში ყველა თანაბრად მონაწილეობს, ადასტურებს, რომ დიალოგის გარდა სხვა გზა არ არსებობს. მავთულხლართების შესახებ კი გეტყვით, რომ საზღვრები დაცული უნდა, დარღვევის ფაქტები - აღკვეთილი. ვფიქრობ, ცხელი თავების დაწყნარების შემთხვევაში, მავთულხლართებიც საჭირო აღარ იქნება,** - განაცხადა სერგეი ლავროვმა.

ლავროვის განცხადებამდე კი საქართველოს შესახებ ანდერს ფოგ რასმუსენმა ისაუბრა. **„საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ ნატო-ს პოზიცია უცვლელი რჩება, ალიანსი საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას მოითხოვს. ნატო ღობეების მშენებლობას მკაცრად ეწინააღმდეგება. ახლა არა ღობეების, არამედ ხიდების მშენებლობის დროა, რათა დიალოგი შედგეს და პოლიტიკური გადაწყვეტის გზები იყოს ნაპოვნი. ღობეების მშენებლობა საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება,"** - მიიჩნევს ნატო-ს გენერალური მდივანი.

ლავროვის განცხადებას ეხმიანება მინისტრი ფანჯიკიძე. მისი თქმით, საქართველოსთვის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა სასურველია, მაგრამ ეს ორ რამეს საჭიროებს - ქვეყნის დეოკუპაციას და აღიარების უარყოფას. **„თუ რუსეთი ამ პირობებს შეასრულებს, საქართველო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას დიდი სიამოვნებით აღადგენს,** - აღნიშნავს ფანჯიკიძე, - **რაც შეეხება იმას, რუსეთის ფედერაცია რისი წინაღმდეგი და მომხრეა, ამას ნატო-მ, საქართველომ და სხვა ქვეყნებმა მარტივი პასუხი გასცეს: მხოლოდ ნატო-ს და მისი პარტნიორების გადასაწყვეტია, როგორი ურთიერთობა ექნებათ. მესამე მხარეს ამ ურთიერთობაზე და გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ასე რომ, ეს რუსეთის პოზიციისთვის ძალიან მარტივი პასუხია."**

საკუთარი ინფორმაცია

პატრიარქი: „თუ თვითმმართველობის კანონი განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება"

პირველი გვერდიდან

თვითმმართველობის კანონი თუ განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება, - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

უწმინდესი სხვა საკითხებთან ერთად პარლამენტისა და ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის კოდექსის განხილვის საკითხს შეეხო.

„ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება დღეს განიხილავს და მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე. ეს მეტად რთული საკითხია. თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისკენ. ჩვენ ამას არასდროს შევეგუებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ შესრულდეს. საქართველო იყო და იქნება ერთიანი ერი, ერთიანი ქვეყანა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ძლიერი იყო ხელისუფლება და მის გარშემო მთელი ქვეყანა, ძლიერი იყო საქართველოც. ჩვენი აზრით, ყოველი რაიონი უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ხელისუფლებასთან. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ის პრობლემები, რომელიც არსებობს რაიონში. ამას არ სჭირდება შუა რგოლი. ხელისუფლება თვითონ უნდა განიხილავდეს, უნდა შეისწავლოს რა სჭირდება თითოეულ რაიონს. ჩვენი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, რომ პრობლემა, რომელიც არსებობს ამა თუ იმ რაიონში, იყოს გამოსწორებული. რატომღაც ზოგიერთი ცდილობს, რომ კანონი სასწრაფოდ უნდა იყოს მიღებული. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს განხილული მთელი ერის მიერ. ხალხმა უნდა იმსჯელოს რა არის მისაღები საქართველოსთვის. ამიტომ, არ უნდა ვიჩქაროთ. ხალხი უნდა გაეცნოს თვითმმართველობის ამ კანონს. მე მინდა დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს პარლამენტს და ხელისუფლებას, გაითვალისწინონ ეს საშიშროება და ნუ ავჩქარდებით ამის მიღებაში," - აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა მთიანი რეგიონების სოფლების პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთა მოსახლეობისგან თანდათან იცლება.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მთიან რაიონებში შევქმნათ ისეთი პირობები, ხალხს აღარ მოუნდეს იქედან წამოსვლა. კურთხეულია ჩვენი მთაც და ბარიც. მე მინდა ვთხოვო ჩვენს ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციოს მთას და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ხალხი მთაში ცხოვრებით კმაყოფილი იყოს," -განაცხადა ილია მეორემ.

პარლამენტის ვიცე სპიკერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის დღევანდელ განცხადებას გამოეხმაურა:

„დავინტერესდები, გავიგო სიღრმეებში, რა საფრთხეებს ხედავს საპატრიარქო თვითმმართველობის კანონში, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მანანა კობახიძემ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

მანანა კობახიძის განცხადებით, პატრიარქს ხელისუფლება ყურს უგდებს და საპატრიარქოს პოზიცია ყოველთვის მნიშვნელოვანია.

„ეს კანონპროექტი განხილვის საგანია. მისთვის პარლამენტს ჯერ კენჭი არ უყრია. ეს არის საკითხი, რომელზეც ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ. ამ პროცესში ყველას პოზიცია, მათ შორის ოპონენტების, მოწინააღმდეგეების, მომხრეების, უნდა იყოს გათვალისწუნებული. მხოლოდ ამ ფართო კონსენსუსის და მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ უნდა იყოს გადაწყვეტილება მიღებული. ვფიქრობ, პატრიარქს ალბათ თავისი მოსაზრებები აქვს, რასთან დაკავშირებით ამბობს ამ ყველაფერს," - განაცხადა მანანა კობახიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის კოდექსზე განცხადებით პატრიარქი ზედმეტად ერევა სახელისუფლებო ფუნქციებში.

„როდესაც პატრიარქი მოუწოდებს ხელისუფლებას დაფიქრებისაკენ და იმისაკენ არ მივიღოთ ეს თვითმმართველობის კოდექსი ნაჩქარვად, ალბათ ჯობდა რომ თვითონაც გაიაზროს იმ მკაფიო განცხადებების რისკი რასაც აკეთებს ქადაგების შემდეგ. არ შეიძლება პატრიარქი აკეთებდეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ რისკებს შეიცავს თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც დარწმუნებული ვარ ნახევარზე მეტს წაკითხული არ აქვს თავიდან ბოლომდე. ამიტომ, თუ პატრიარქი მოუწოდებს საზოგადოებას აქტიური დისკუსიისაკენ, მან შეფასება არ უნდა გააკეთოს რა რისკებს შეიცავს ეს კოდექსი. ვფიქრობ, რომ საპატრიარქო ასეთი ტიპის განცხადებებით ზედმეტად ერევა სახელისუფლებო საქმიანობაში და ჩემი აზრით, საპატრიარქოს და სახელისუფლებო ფუნქციები და მოვალეობები ნამდვილად ერთმანეთისგან გამიჯნულია და გამიჯნული უნდა იყოს, - აცხადებს თამარ კორძაია. მისივე თქმით, ამ განცხადებას ერთადერთი მიზანი აქვს, რომ თვითმმართველობის რეფორმა არ განხორციელდეს.

„ხომ არ ჯობდა ერთი საპარლამენტო მანდატი გადაგვეცა პატრიარქისთვის?! - ასეთი კომენტარი გააკეთა facebook-ის გვერდზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თამარ კორძაიამ. ასევე facebook-ზე გამეხმაურა პატრიარქის განცხადებას ექსპერტი ელენე ხოშტარია. ის წერს: **„უნდა შემოვიღოთ კანონშემოქმედებაში ახალი ეტაპი, საპატრიარქოსთან შეთანმხება. მერე პრობლემები რომ არ იყოს, ჯერ თავში იდეის გაჩენა შევთანხმოთ, მერე ამ იდეის გაჟღერება, მერე გაჟღერებული იდეის ქაღალდზე გადმოტანა, მერე პროექტი გავაგზავნოთ, მერე პარლამენტში თითო მოსმენის წინ კიდე...**

ნუ, მარტივად რომ ვთქვათ, ნაკურთხი უნდა იყოს კანონები."

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტის განხილვას პარლამენტი მიმდინარე კვირიდან იწყებს. 6 დეკემბრისთვის ჩანიშნულია პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა, რომლის დღის წესრიგის ერთადერთი საკითხი სწორედ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტებია. თვითმმართველობის ახალი კოდექსის პროექტის გარდა, ცვლილება 23 კანონში უნდა შევიდეს.

კანონპროექტის უმთავრესი სიახლეა, რომ იზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და ნაცვლად დღეს არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქისა (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი), ეს სტატუსი იმ ქალაქებსაც მიენიჭებათ, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია (მაგალითად, ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი და ა.შ.).

თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომელთა ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ჩამოყალიბდება. საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გაყოფას ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად. თვითმმართველი ერთეულების (ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების) მმართველი რგოლები არჩევითი იქნება. კოდექსის პროექტით, ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც თვითმმართველობის კოდექსი არეგულირებს, არის ის, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან საკრებულოს წევრები. ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კოდექსით განისაზღვრულია თვითმმართველი ერთეულების ფისკალურ დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებიც.

პარლამენტში საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორი მთავრობაა. პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მთავრობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის შემუშავებას იწყებს

პირველი გვერდიდან

ღარიბაშვილმა მნიშვნელოვანი ყურადღება ყოფილი ხელისუფლების საქმიანობის შეფასებას დაუთმო. როგორც პრემიერი ამბობს, ხელისუფლებას, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მძიმე მემკვიდრეობა ერგო. მისი თქმით, წინა ხელისუფლებამ თავის პრიორიტეტად ქვეყნის მოდერნიზაცია დაისახა, რომელმაც ბევრი რამ შეიწირა. **„ყველაზე მეტად - სწორედ ადამიანის უფლებები,** - აზუსტებს პრემიერი და განაგრძობს, - **პატიმრების წამების კადრებმა მსოფლიო შეძრა და ეს იყო დანაშაული, რომელიც თავად წინა ხელისუფლებამ სისტემურ ჩავარდნად აღიარა; გარდა ამისა, მშვიდობიან მანიფესტაციებს განსაკუთრებული სისასტიკით არბევდნენ; საკუთრების წართმევის შემთხვევები მასობრივ ხასიათს ატარებდა; ადამიანების პირად ცხოვრებას ტოტალურად უთვალთვალებდნენ; ხელისუფლება ნაციონალურ მაუწყებლებს მთლიანად აკონტროლებდა; არჩევნების დროს, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლები ძალადობდნენ და მოსახლეობას აშინებდნენ; სასამართლო პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს იღებდა; ქვეყანაში უმძიმესი სოციალური მდგომარეობა იყო, რომელთან გამკლავება დღესაც ყველაზე რთულ ამოცანად რჩება. აი, ასეთი ქვეყანა გადმოვიბარეთ და ერთი ხელის მოსმით ამის გამოსწორება შეუძლებელია.“**

ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში დეტალურად გაიწერება, რა ღონისძიებების გატარებას აპირებს სახელმწიფო. ამასთან, პრემიერის თქმით, დოკუმენტში ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების ვადები იქნება მითითებული.

პრემიერი პირობას იძლევა, რომ თავად სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება. **„ჩვენ ამას, უცხოელ მეგობრებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ვაკეთებთ. მთავრობას, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის სამოქმედო გეგმა ექნება, ყველასთვის ნათელი გახდება, რომ ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტებით დაცვა ნამდვილად გვსურს,“** - ამბობს პრემიერი.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული ვითარება მიმოიხილა. **„სამწუხაროდ, წლების განმავლობაში საქართველოში ადამიანის უფლებები ხელისუფლების აუცილებელ ბოროტებად რჩებოდა, რომელზეც საუბარი, კონფერენციების ჩატარება, ევროსაბჭოსა და სხვა სტრუქტურებში ანგარიშების გაგზავნა აუცილებელი იყო, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ხელისუფლებები სხვა პრიორიტეტებით ცხოვრობდნენ. იმიტომ, რომ იყო ასეთი განწყობა - ჯერ დამოუკიდებლობა და მერე დემოკრატია. სად მიგვიყვანა ამ ლოზუნგმა, ეს ყველას კარგად გვახსოვს. მერე მოვიდა სხვა ხელისუფლება, რომელმაც ამოცანად ჯერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სახელმწიფოს ფორმირება დასვა და მერე ადამიანის უფლებები. შედეგად აღმოვჩნდით იქ, სადაც აღმოვჩნდით. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ, ასევე განაცხადა, რომ ჯერ მოდერნიზაცია იყო საჭირო, რაც ძლიერი სახელმწიფოს შექმნას ნიშნავდა, დემოკრატიას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას კი შემდეგ მივუბრუნდებოდით. რით დასრულდა ეს ყველაფერი, ესეც ვნახეთ. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს საკმარისზე მეტი საკუთარი მწარე გამოცდილება დაგვიგროვდა იმისთვის, რომ აღარ დავუშვათ მსგავსი შეცდომა. რეალურად გავიაზროთ და გავაცნობიეროთ, რომ არ არსებობს რამე სხვა, რისგამოც ადამიანის უფლებების დაცვამ და ძირითადმა თავისუფლებებმა უნდა მოიცადოს,“** - თქვა უსუფაშვილმა. პარლამენტის სპიკერის შეფასებით, თუ საქართველო ევროპისკენ მიდის, მაშინ დღევანდელი ევროპა სწორედ ადამიანის უფლებებს ეუძნება.

უსუფაშვილმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც მიმართა, რომ ის შეცდომა არ გაიმეორონ, რაც 2003-2004 წლებში დაუშვეს. **„იმ წლებში მიიჩნიეს, რომ საქართველოში დემოკრატიის მშენებლობა სწორ გზას დაადგა და მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების სათანადო განვითარებისთვის რესურსების დახარჯვა საჭირო არ იყო. იმედი მაქვს, პარტნორები ამჟამად საქართველოს დახმარებას გააგრძელებენ, მაგრამ დახმარება მკაცრ მონიტორინგსაც უნდა შეიცავდეს,“** - მიიჩნევს დავით უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, კოჰაბიტაციის დასრულების შემდეგ

ხელისუფლებას არც ერთი არგუმენტი არ რჩება იმისთვის, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დონეზე ადამიანის უფლებები ყველაზე მაღალი სტანდარტებით არ დაიცვას. გარდა ამისა, უსუფაშვილი ყურადღებას სოციალურ უფლებებზე ამახვილებს. **„ხელისუფლებამ თუ სოციალურად ყველაზე დაუცველი ადამიანების ელემენტარული სასიცოცხლო პირობებით უზრუნველყოფა ვერ მოახერხა, მათი პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ საუბარი კეკლუცობა იქნება,“** - შენიშნავს უსუფაშვილი.

კონფერენციაზე საკონსტიტუციო, სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა თომას ჰამარბერგმა ანგარიში წარმოადგინა, რომელიც გარდამავალ პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გადადგმული ნაბიჯებსა და გამოწვევებს ეხებოდა. **„რთულია, უცხოელმა სწორად გააცნობიეროს ქვეყანაში რა ხდება. ჩემთვის ყველაზე მთავარი ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მთავრობის თვითკრიტიკის უნარია. არაერთი ანგარიში წავიკითხე. ეს ანგარიშები ძალიან ჰგავდა იმას, რომლებსაც ქვეყნის წარმომადგენლები ამზადებდნენ. სასამართლოში სისტემური პრობლემები არსებობდა. პრობლემატური იყო თანასწორობის დაცვის საკითხები. პროკურატურა გადამეტებული უფლებებით მოქმედებდა. საპროცესო გარიგებების სისტემა ბოროტად გამოიყენებოდა. ციხეები ძალიან გადატვირთული იყო. ეს ყველაფერი უნდა ვაღიაროთ. ყველაზე მთავარ პრობლემად მიმაჩნია ის, რომ მმართველი პარტიის ხელმძღვანელებსა და სახელმწიფო მმართველობას შორის გამყოფი ხაზი არ არსებობდა. თვალთვალის სისტემა არსებობდა და პირადი ცხოვრების უფლება დაცული არ იყო. წარსულის პრობლემები სისტემურად უნდა გამოსწორდეს. მთავარია, ჩადენილი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ,“** - თქვა ჰამარბერგმა.

თომას ჰამარბერგის შეფასებით, პენიტენციურ სისტემაში სერიოზული გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა იგი ე.წ. ქურდების ინსტიტუტზე ამახვილებს ყურადღებას და შენიშნავს, რომ იგი ვითარების გაკონტროლებას ცდილობს.

ჰამარბერგის შეფასებას სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი გამოეხმაურა. მინისტრი ე.წ. კრიმინალური სუბკულტურის საბოლოოდ აღმოფხვრას რამდენიმე თვეში ვარაუდობს. სუბარს პრობლემის გადაჭრის გზად ახალი ციხის მშენებლობა მიაჩნია, რომელიც რამდენიმე თვეში დასრულებული იქნება. **„კრიმინალური კულტურის მიმდევრები სასჯელს სხვა მსჯავრებულებისაგან განცალკევებულად მოიხდიან,“** - თქვა სუბარმა.

სოზარ სუბარის თქმით, მთავარი დაპირება, რომ პენიტენციური სისტემა ადამიანური გახდებოდა, უკვე შესრულებულია. ამასთან, მინისტრი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხზე სტრატეგიის შემუშავებას მიესალმება.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საუბრობს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი. მისი თქმით, რეფორმების მიუხედავად, პენიტენციურ სისტემაში პრობლემები კვლავ რჩება. ამასთან, ომბუდსმენის შეფასდებით, სასამართლო კვლავ არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი. სახალხო დამცველი დადებითად არც პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას აფასებს. თუმცა, ნანუაშვილის აზრით, მთავარი ის არის, რომ ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დაცვის ხედვა გააჩნია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვითარება გაუმჯობესებულია. თუმცა, მისი შეფასებით, პრობლემები რჩება. **„მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა იქმნება. განსაკუთრებული აქცენტი სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და სასამართლო რეფორმის სწორად წარმართვის საკითხებზე უნდა გაკეთდეს. ასევე, მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების დაცვა და დისკრიმინაციის აკრძალვა,“** - ამბობს კოჟორიძე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორს ეკა გიგაურს პრიორიტეტულ საკითხად პერსონალური ინფორმაციის დაცვა ესახება. **„კარგი იქნება, თუ პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის ფუნქციები გაიზრდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის გაწევაა საჭირო. გარკვეული აქცენტები უმცირესობების უფლებებისა და საკუთრების დაცვის საკითხებზე უნდა გაკეთდეს,“** - თქვა გიგაურმა.

საკუთარი ინფორმაცია

ახალაია გაამართლეს, ჯარისკაცები დააპატიმრეს

პირველი გვერდიდან

„სამხედროების წამების“ და ზვიად აბესაძისათვის „უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის“ საქმეზე ბაჩო ახალაისთან ერთად, ბრალდებული იყვნენ გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე, მერაბ კიკაბიძე, გაგა მკურნალიძე, მანუჩარ დარასელია, გიორგი კინწურაშვილი, მეოთხე ქვეითი ბრიგადის ყოფილ ხელმძღვანელი ზურაბ შამათავა და სერჟანტი ალექსანდრე გორგაძე,

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამართლებულ ალექსანდრე გორგაძესა და ზურაბ შამათავას სააპელაციო სასამართლომ განაჩენი შეუცვალა, შამათავა და გორგაძე დამნაშავედ იქნენ ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით და ისინი სააპელაციო სასამართლოს დარბაზში დააპატიმრეს.

შამათავამ დაკავების შემდეგ განაცხადა, რომ **„ემსახურება საქართველოს, თუმცა ამიერიდან - სამი წელი ციხეში“**.

გორგაძის თქმით კი, იგი საქართველოს სამსახურს ციხის საკნიდან გააგრძელებს.

ორივე მათგანს, შამათავასაც და გორგაძესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თავისუფლების ხუთი წლით აღკვეთა მიესაჯათ, თუმცა, ამნისტიით მათ სასჯელი 1/4-ით შეუმცირდათ და საბოლოო სასჯელად, სამი წელი და ცხრა თვე განესაზღვრათ.

რაც შეეხება გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროსს გიორგი კალანდაძეს, ის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 387-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფას. აღნიშნული სასჯელით, კალანდაძეს სამი თვით შეეზღუდა სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა. კალანდაძე აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

დანარჩენ პირებს - გაგა მკურნალიძეს, მანუჩარ დარასელიას, მერაბ კიკაბიძეს და გიორგი კინწურაშვილს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც, გამამართლებელი განაჩენი დაუდგინდათ.

პროკურორ ირაკლი ნადარეიშვილის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ გორგაძისა და შამათავას დამნაშავეებად ცნობით, დაზარალებულების შელახული უფლება აღადგინა და საზოგადოებაში დაბრუნდა რწმენა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ამასთან, პროკურორის თქმით, ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოში მოახერხა და დაამტკიცა ბრალდებები გარკვეულ ნაწილში.

„დაცვის მხარემ ვერ შეძლო სრულად მოეხვია თავზე სასამართლოსთვის მის მიერ შეთხზული ვერსია, რაც განახორციელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის გიორგი დარახველიძის შემთხვევაში. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილებს, რომელშიც სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ჩვენ გავეცნობით განაჩენის დასაბუთებას და ამის მერე იქნება გადაწყვეტილება მიღებული გასაჩივრდება თუ არა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი,“ - განაცხადა პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა.

დაცვის მხარე კი, ალექსანდრე გორგაძისა და ზურაბ შამათავას მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, დაცვის მხარე საქართველოში უმაღლესი ინსტანციის - უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდება.

„ალექსანდრე გორგაძისა და ზურაბ შამათავას მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლომ მუხლი ცემით დააკვალიფიცირა. მეორე ინსტანციამ კი - უფლებამოსილების გადამეტებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ გავასაჩივრებთ, დაველოდებით საქართველოში უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილებას. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ის. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს არ არის ის დანაშაული და აქედან გამომდინარე, აპელაციის გადაწყვეტილება შეიცვლება,“ - განაცხადა ველიჯანაშვილმა.

ადვოკატ გოგა ონიანის შეფასებით, ალექსანდრე გორგაძისა და ზურაბ შამათავას დაკავება, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომის გმირები არიან, თითოეული მოქალაქის შეურაცხყოფაა.

„პროკურატურის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბაჩო ახალაია კვლავ გამართლდა. პროკურატურამ ერთადერთი, რასაც მიაღწია, არის ის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის 2 გმირი დააკავა. ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკასთან არასდროს ჰქონიათ შეხება და თავისი ქვეყნის ჯარისკაცები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი 2008 წელს ყელში დაიჭრა, თუმცა ბრძოლის ველიდან არ გამოდიოდა; მეორე სერჟანტი იყო და ქართველი ბიჭების ბრძოლას უშუალოდ ხელმძღვანელობდა. ვინც იბრძოდა 2008 წელს, ისინი დააკავეს იმ ფონზე, როცა 80% კრიმინალებისა ქუჩაშია. ხოლო გმირები, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე - ციხეში. მათ ვერ შეძლეს ბაჩო ახალაიას გამტყუნება, მაგრამ მოერივნენ 2 ჯარისკაცს,“ - განაცხადა ონიანმა.

გენშტაბის ყოფილი უფროსი გიგი კალანდაძე კი, პროკურატურას სააპელაციო სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას ულოცავს. მისი თქმით, პროკურატურამ ორი გმირი დააკავა, რაც მისთვის „მისალოცი ამბავია“.

„დაიჭირეს ვიცე-პოლკოვნიკი შამათავა და სერჟანტი გორგაძე. პროკურატურას ვულოცავ ამ გადაწყვეტილებას,“ - განაცხადა გიგი კალანდაძემ.

შეგახსენებთ, რომ „სამხედროების წამების“ და ზვიად აბესაძისათვის „თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის“ საქმეზე თბილისს საქალაქო სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულები უდანაშაულოდ სცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლემ პირველ აგვისტოს გამოაცხადა, ბრალდების მხარემ კი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა.

ასადი გარდამავალი მთავრობის მეთაურობას გეგმავს

სირიის მოქმედი პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი პრეზიდენტის თანამდებობის შენარჩუნებას და გარდამავალი მთავრობის ხელმძღვანელობას გეგმავს. როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნულის შესახებ ერთ-ერთმა სირიელმა მინისტრმა განაცხადა. ადრე დროებითი მთავრობის ფორმირების შესახებ განცხადება სირიის ოპოზიციამაც გააკეთა, რომელსაც სათავეში აჰმედ ტოუმე ჩაუდგება. ამასთან, სირიის ოპოზიციური და რევოლუციური ძალების ეროვნულმა კოალიციამ განაცხადა, რომ 22 იანვარს დაგეგმილ სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობაზე იმის გამო დათანხმდნენ, რომ ასადი ხელისუფლებას გარდამავალ პერიოდშიც ჩამოშორდეს. «სირიის თავისუფალი არმია» თავის მხრივ აცხადებს, რომ ქვეყანაში სამხედრო მოქმედებებს მხოლოდ ასადის გადადგომის შემდგომ შეწყვეტენ. ქვეყანაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც გაეროს მონაცემებით 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენცია 22 იანვარს არის დანიშნული, რომლის მთავარი ორგანიზატორებიც ამერიკა და რუსეთი არიან. ამასთან, ცოტა ხნის წინ გაეროს ადამიანის უფლებების ოფისმა სირიის მოქმედი პრეზიდენტი ბაშარ ასადი სამხედრო დანაშაულის ჩადენაში პირდაპირ დაადანაშაულა. ამის საფუძველზე გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა ეს სამშვიდობო კონფერენცია ჟენევის მაგივრად სხვაგან გაიმართოს. რომ მასში ასადის მონაწილეობა «მოხერხდეს».

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ მსოფლიოში მათი ქვეყნის გავლენა კლებულობს

ბოლო 40 წლის განმავლობაში პირველად, გამოკითხულ ამერიკელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ამერიკის გავლენა ეცემა. ეს მონაცემები კვლევითმა ცენტრმა «Pew»-მა წარმოადგინა სახელწოდებით „2013 წელს ამერიკის ადგილი მსოფლიოში.“ გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 70 პროცენტი ფიქრობს, რომ მსოფლიოში დღეს ამერიკას იმაზე ნაკლები პატივისცემით უყურებენ, ვიდრე ნარსულში. გამოკითხულთა 52 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ამერიკამ პირველ რიგში „საკუთარ საქმეებს უნდა მიხედოს.“ 56 პროცენტი პრეზიდენტ ბარაკ ობამას პოლიტიკას მხარს არ უჭერს. გამოკითხულთა 53 პროცენტის აზრით, ამერიკა მსოფლიოში ათი წლის წინ ბევრად უფრო გავლენიანი იყო, ვიდრე ახლა არის. მხოლოდ 17 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამერიკა დღეისათვის საერთაშორისო არენაზე უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„გარდიანის“ რედაქტორი ზეწოლაზე საუბრობს

ბრიტანული გამოცემა „გარდიანის“ რედაქტორმა ალან რასბრიჯერმა ხუთშაბათს ქვეყნის პარლამენტში ედუარდ სნოუდენის მიერ მიწოდებულ მასალებთან დაკავშირებით ჩვენება მისცა. „გარდიანი“ ერთ-ერთი მთავარი გამოცემაა, სადაც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლოს ედუარდ სნოუდენის მიერ გამომჟღავნებული საიდუმლო ინფორმაცია გამოქვეყნდა. რასბრიჯერის განცხადებით, ზეწოლა ხორციელდებოდა, რათა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის საიდუმლო პროგრამების შესახებ მასალების გამოქვეყნება შეეჩერებინა. პარლამენტის კომიტეტში გამოსვლისას რედაქტორმა აღნიშნა: „გარდიანის დაშინება ვერ მოხერხდება, თუმცა ჩვენ უგუნურად მოქცევას არ ვაპირებთ.“ პარლამენტის შიდა საქმეების კომიტეტში ერთსაათიანი მოსმენისას რასბრიჯერმა განაცხადა, რომ სანამ დოკუმენტებს გამოაქვეყნებდა „გარდიანმა“ თეთრ სახლთან, გამოძიების ფედერალურ ბიროსთან და კიდევ სხვა უწყებებთან გაიარა კონსულტაციები. რედაქტორმა აღნიშნა, რომ „გარდიანზე“ ისეთი ზეწოლა ხორციელდებოდა, დოკუმენტების გამოქვეყნების შესაწყვეტად, რაც მისი თქმით სხვა ქვეყნებისათვის წარმოუდგენელია: „მაგალითად ოფიციალური პირები მოდიოდნენ ჩემთან და მეუბნებოდნენ რომ შემეჩერებინა დოკუმენტების გამოქვეყნება. ასევე, რეკავდნენ პოლიციაში და რედაქტორის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვდნენ. ეს ყველაფერი ამერიკისათვის წარმოუდგენელია,“ - აღნიშნა რასბრიჯერმა. მან ასევე თქვა, რომ «გარდიანმა» გამოაქვეყნა სნოუდენის მიერ მათთვის გადაცემული მასალების ერთი პროცენტი. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ გარდიანის რედაქტორი ალბათ დემოკრატიულ სახელმწიფოებს გულისხმობს, თორემ წარმატებული ზეწოლის სასტიკ და ეფექტურ მეთოდებს ის ადვილად შეიძლება გაეცნოს ავტორიტარულ სახელმწიფოებში, იგივე აფრიკაში, აზიაში ან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ბაიდენი ჩინეთში ჩავიდა

ამერიკის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი ოთხშაბათს ჩინეთში ჩავიდა, სადაც როგორც იაპონელებს დაჰპირდა, ჩინეთის ლიდერებთან შეხვედრისას სადავო საჰაერო სივრცეზე ისაუბრა. ცოტა ხნის წინ, ჩინეთმა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის რაიონი „ჰაერსაწინაღმდეგო თავდაცვის ზონად“ გამოაცხადა. „ამერიკა ძალიან არის შეშფოთებული აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სტატუს კვოს შეცვლით. მე ამ საკითხს ჩინეთის ლიდერებთან შეხვედრისას დავაყენებ,“ - განაცხადა ბაიდენმა ჯერ კიდევ სამშაბათს იაპონიის პრემიერ სინძო აბესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. ჩინეთი ითხოვს, რომ ამ ზონაში ნებისმიერი ფრენა წინასწარ იყოს პეკინთან შეთანხმებული და მფრინავებმა ჩინური მხარის მოთხოვნები შეასრულონ. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენიფერ პსაკიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ვაშინგტონი არც ამ ზონას და არც ჩინეთის იმ მოთხოვას აღიარებს, რომ ფრენები წინასწარ იქნეს შეთანხმებული.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინის ოპოზიცია ხელისუფლების სადღეღამისო ბლოკირებით იმუქრება

პარალელურად მსგავსი საპროტესტო აქცია პარლამენტის მეორე მხარეს მოაწყვეს იანუკოვიჩის მომხრეებმაც, თუმცა მათი რაოდენობა, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად ჩამოუვარდება ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა რიცხვს. მთავრობა კი, როგორც ჩანს, პირველი შოკის შემდეგ ცოტა გონს მოვიდა, მუშაობას „ჩვეულებრივ რეჟიმში“ აგრძელებს და ცდილობს ქუჩაში გამოსულ ხალხს არაფერი დაუთმოს. პრეზიდენტი იანუკოვიჩი კი კვლავ ჩინეთში იმყოფება სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით.

გუშინ კიევის ქუჩებში სიტუაცია პრინციპულად არ შეცვლილა. ოპოზიცია კვლავ აკონტროლებს დამოუკიდებლობის მოედანს, ახდენს მინისტრთა კაბინეტის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და უკრაინის უმაღლესი რადას შენობების ბლოკირებას. თუმცა ამ შენობებისთვის ალყა ყველა მხრიდან არ აქვს შემორტყმული. პოლიციის სპეცრაზმმა ბერკუტმა მოახერხა ერთ-ერთი შესასვლელის გარშემო პოზიციების დაკავება და დერეფნის გახსნა მთავრობის წევრების შესასვლელად და გამოსასვლელად.

უკრაინის უმაღლესი რადას შენობათა კომპლექსის ერთ-ერთ მხარეს კი აქციას მართავენ იანუკოვიჩის მომხრეები. იქ გუშინ სულ რაღაც ხუთასიოდე ადამიანი იყო შეკრებილი, თუმცა გაშალეს კარვებიც. აქციაზე უსმენენ საბჭოთა კავშირის დროინდელ მუსიკას და უკავიათ პლაკატები წარწერებით „სამშობლოსთვის!“, „იანუკოვიჩისთვის!“ აქვე ვიტყვით რომ ხელისუფლების მომხრეთა უფრო დიდი აქცია გაიმართა დონეცკში, რომელზეც დაახლოებით 15 ათასი კაცი მივიდა (ან მიიყვანეს). ოღონდ ისინი მალევე, რეზოლუციის მიღებისთანავე დაიშალნენ. დონეცკელების მიერ იანუკოვიჩისა და „რეგიონების პარტიის“ მხარდაჭერა არავის უკვირს. უფრო სიმპტომატურია ალბათ ის, რომ იმავე დონეცკში კვირას გაიმართა ახალგაზრდების პატარა მიტინგი, რომელზეც მხარი დაუჭირეს ევროპული კურსის მომხრეს და დაგმეს მთავრობის მიერ კიევში აქციის დარბევა. ამ მიტინგზე პროტესტის ნიშნად დაწვეს იანუკოვიჩის სურათიც, რაც ადრე ამ ქალაქში არასდროს მომხდარა.

კიევში ევროინტეგრაციის მომხრეს ისევ დაკავებული აქვთ რამდენიმე შენობის ნაწილი დამოუკიდებლობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. კერძოდ მერიის, პროფკავშირების სასახლისა და ოქტომბრის სასახლის პირველი სართულები, სადაც მოწყობილი აქვთ შტაბები, ასევე „დასვენებისა და გათბობის“ ცენტრები. დემოსტრანტებს ბარიკადებით აქვთ გამაგრებული მოედნების მისადგომები, სადაც მათი კარვების ქალაქებია. ქუჩაში დემონსტრანტები რკინის კასრებში დანთებულ კოცონებზე თბებიან. აქციები გაიმართა პროკურატურასთან და უკრაინის უმაღლეს სასამართლოსთანაც, რომლებშიც მონაწილეობა სასულიერო პირებმაც მიიღეს. ხალხი თხოულობს მთავრობის მიერ დაკავებული 9 აქტივისტის გაშვებას.

უკრაინის უმაღლეს რადას გუშინ უნდა ჩაეტარებინა მორიგი სხდომა, თუმცა ოპოზიციამ მოახერხა ამ ქვეყნის პარლამენტში „აპრობირებული მეთოდით“ - ტრიბუნის ბლოკირებით სხდომის ჩაშლა. სპიკერი ვლადიმირ რიბაკი იძულებული გახდა სხდომა გასნისთავავე დაეხურა. ოპოზიცია იმუქრება, რომ რადაში სხდომის გამართვის საშუალებას უმრავლესობას იქამდე არ მისცემს, სანამ იანუკოვიჩი მოქმედ მთავრობას არ გადააყენებს. მორიგი სხდომა წესით დღეს უნდა გაიმართოს.

დემონსტრანტებმა პრეზიდენტ იანუკოვიჩს წაუყენეს ულტიმატუმი. მან ორ დღეში უნდა დაითხოვოს მთავრობა და დანიშნოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში აქციის მონაწილეები გეგმავენ სამთავრობო შენობების სადღეღამისო ბლოკირებას ყველა მხრიდან. მანამდე ოპოზიციის მოთხოვნები პარლამენტის სპიკერს ოფიციალურად გადასცეს ოპოზიციური ფრაქციების ლიდერებმა.

პრეზიდენტი იანუკოვიჩი კი აგრძელებს ოფიციალურ ვიზიტს ჩინეთში, სადაც დაგეგმილია რიგი დოკუმენტების ხელმოწერა ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში.

უკრაინაში მთავრობამ უკვე დააკომპლექტა ორივე დელეგაცია, რომელთა გაგზავნასაც აპირებს ევროკავშირში და რუსეთში მოლაპარაკებებზე. რუსეთში მიმავალ დელეგაციას უხელმძღვანელებს ვიცე-პრემიერი ბოიკო, ბრიუსელში მიმავალს კი ვიცე-პრემიერი არბუზოვი. ეს მოლაპარაკებები ბრიუსელში 16-20 დეკემდერს დაინიშნა.

პროკურატურა მომავალ კვირაში აპირებს მიტინგის დარბევის გარემოებების გამოძიების პირველი შედეგების გამოქვეყნებას. აღრულია აგრეთვე დაახლოებით 20 სისხლის სამართლის საქმე დარბევის დროს და საერთოდ ამ კრიზისულ დღეებში ჟურნალისტების ცემის ფაქტების გამო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ჟურნალისტებს მომავალში დაურიგებს სპეციალურ მანათობელ ჟილეტებს წარწერით „პრესა“, რამაც უნდა გამორიცხოს მათზე შემთხვევითი თავდასხმა, თუმცა ასეთმა ჟილეტებმა ვერ გადარჩინა ის რეპორტიორები, რომლებსაც ისინი შაბათს ღამით უკვე ეცვათ. უკრაინული მედიის დათვლით იმ აქციების დროს სერიოზულად დაშავდა ჩვენი დაახლოებით 50 კოლეგა, მათ შორის არიან როიტერის, ფრანს-პრესისა და რუსული მედიასაშუალებების კორესპონდენტებიც. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სპეცრაზმ „ბერკუტის“ სამხედრო მოსამსახურეები ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტებს სასტიკად უსწორდებოდნენ მიზანმიმართულად, სწორედ იმის გამო რომ ისინი მედიის წარმომადგენლები იყვნენ. ბევრი მათგანი საავადმყოფოებშიც მოხვდა. ორი დღის წინ ორგანიზაციამ „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ორგანიზაცია „შოკირებულია“ კიევში ჟურნალისტების მიმართ სასტიკი ანგარიშსწორებით.

მოლდოვეთში ევროინტეგრაციას აპროტესტებენ

უკრაინაში მიმდინარე მასობრივი გამოსვლების ფონზე, რაც მოჰყვა უკრაინის ხელისუფლების უარს ხელი მოეწერათ ევროპასთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებზე, საერთაშორისო საზოგადოებისთვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა გაცილებით მცირემასშტაბიანი, მაგრამ მაინც საპროტესტო აქციები კიშინიოვში. ოღონდ მოლდავეთის ოპოზიცია საპირისპირო მიზეზით იყო აღშფოთებული. კერძოდ იმით, რომ მოლდავეთი, ისევე როგორც საქართველო, ევროპასთან დაახლოების გზით წავიდა.

მოლდავეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა იური ლიანკემ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ ვილნიუსში განაცხადა, რომ ამოცანა სანახევროდ არის შესრულებული და ქვეყანამ უნდა გააგრძელოს რეფორმების გატარება. „მე ამ იდეას მივუძღვენი ჩემი საქმიანობის ბოლო 15 წელიწადი. მოხარული ვარ, რომ მერგო ხელშეკრულებების პარაფირების პატივი და ევროინტეგრაციის იდეა უკვე მკაფიო ფორმებს იძენს. მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენ ამოცანა მხოლოდ სანახევროდ შევასრულეთ. ჩვენ ვალდებული ვართ ეს პროცესი მივიყვანოთ იმ მომენტამდე, როდესაც მოქალაქეები იგრძნობენ რეალურ უკუგებას,“ - თქვა პრემიერმა.

ივარაუდება, რომ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების შემდეგ ექსპორტის მოცულობა მოლდავეთიდან ევროკავშირის სახელმწიფოებში 15 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ქვეყნის მშპ - 5,4 პროცენტით. ამას გარდა გაუქმდება მოლდავეთსა და ევროკავშირს შორის არსებული საბაჟო მოსაკრებლების 95 პროცენტი. ეს ნათქვამია იმ დოკუმენტში, რომელიც 2 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკომისიის საიტზე.

მოლდავეთის ხელისუფლებამ 29 ნოემბერს - ევროკავშირთან ასოცირების, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულებების პარაფირების თარიღს ისტორიული უწოდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად კიშინიოვის ცენტრში კონცერტიც გაიმართა. თუმცა, სანამ მოლდავეთის მმართველი კოალიციის ლიდერები ევროკავშირთან სამწლიანი მუშაობის შედეგებს იმკიდნენ და ევროპელი ჩინოვნიკებისგან ქებას ისმენდნენ, მოლდავეთის ოპოზიციას პიკეტი ჰქონდა მოწყობილი კიშინიოვში ევროკავშირის დელეგაციის შენობის წინ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება ვილნიუსში ხალხის ნების საწინააღმდეგოდ გაეიმგზავრა.

მოლდავეთში ამ ევროინტეგრაციული დოკუმენტების ტექსტის გაცნობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ვილნიუსში მისი პარაფრების შემდეგ. ეს იწვევდა როგორც ოპოზიციის, ასევე ექსპერტთა ნაწილის შეშფოთებას. ისინი აცხადებდნენ, რომ ხელშეკრულებები გასაიდუმლოებულ ვითარებაში მზადდებოდა და ეს არასწორია.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატის, კომპარტიის წარმომადგენელისა და რეინტეგრაციის ყოფილი მინისტრის ვასილე შოვას სიტყვებით ჩვეულებრივად კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან მიმდინარეობს პარაფირებამდე. „დოკუმენტის პარაფირების შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება. ხოლო ამ ხელშეკრულებების სწრაფმა ხელმოწერამ და ამოქმედებამ შეიძლება კონფლიქტური სიტუაცია შექმნას დნესტრის ნაპირებს შორის და მთელ ქვეყანას ფუნდამენტური ზარალი მიაყენოს. საჭიროა ჯერ კომპრომისების მოძებნა და შემდეგ პოზიციების დაფიქსირება და არა პირიქით, როგორც ეს გაკეთდა ამ შემთხვევაში. კიდევ დავაკვირდებით მდგომარეობას, მაგრამ ჯერ კითხვები უფრო მეტია ვიდრე პასუხები,“ - თქვა დეპუტატმა. ვასილე შოვა სერიოზულად არის შეშფოთებული ევროპასთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნით გამოწვეული ნეგატიური შედეგებით. მისი აზრით, ვილნიუსის შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება, ეკონომიკას არ აქვს სწრაფი ზრდის არანაირი საშუალება, სოციალურ სექტორშიც იგივე მდგომარეობაა. ოპოზიციონერი დეპუტატი ფიქრობს, რომ ეს ხელშეკრულება დარჩება მხოლოდ დიდ პიარ-პროექტად მედიისთვის. „ამ სიტუაციაში ჩვენ გამოდივართ არა ვილნიუსის წინააღმდეგ ან მის მომხრედ. ჩვენ გვაინტერესებს რამდენად მზად არის მოლდავეთის რესპუბლიკა თავისი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად კონკურენციის პირობებში, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში,“ - დასძინა ვასილე შოვამ.

ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ამჟამად კი პარლამენტის დეპუტატი სოციალისტებიდან იგორ დოდონი ამტკიცებს, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ გაფუჭდება მოლდავეთისა და რუსეთის ურთიერთობები.

ექსპერტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მოლდავეთის და რუსეთის ურთიერთობები განვითარდება უკრაინაში მიმდინარე მოვლენების კონტექსტში. მათი აზრით რუსეთის მოქმედებების პროგნოზირება დღეს შეუძლებელია, რადგან რუსეთის ზეწოლა მოლდავეთის ეკონომიკურ სიტუაციაზე პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. როცა აღარ იარსებებს მიზეზი, ის გამოც პუტინი სჯის მოლდავეთს, ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობაც ნორმალურ კალაპოტში გადავა.

ევროპასთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების მზადების მთელი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში პოლიტიკოსები და ექსპერტები წინაღმდეგობრივ შეფასებას აძლევდნენ ამ პროცესს. ზოგი აცხადებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემოღება „მოახრჩობს“ ადგილობრივ მწრმოებლებს. სხვები აქტიურად უჭერდნენ მხარს სვლას დასავლეთისკენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს ქვეყანას მისცემს სავაჭრო კავშირების გაფართოების, ინვესტიციების მოზიდვისა და მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების საშუალებას. სხვათაშორის ამ ბოლო საკითხში მოლდავეთმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია. ევროკომისიამ ვილნიუსის სამიტამდე მიმართა თხოვნით ევროპარლამენტს სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ მოლდავეთის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ბიომეტრიულ პასპორტებს ფლობენ. ევროკავშირის კომისარმა საშინაო საკითხებში სესილია მალსტრიომმა განაცხადა, რომ მოლდავეთმა ყველა დათქმული პირობა შეასრულა. ოფიციალურ კიშინიოვს იმედი აქვს, რომ ქვეყნის მოქალაქეები მოკლევადიანი ვიზიტებით ევროკავშირში უვიზოდ ჩასვლას უკვე გაისად გაზაფხულიდან შეძლებენ.

მოლდავეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ამ ხელშეკრულებით ქვეყანა გადის მსოფლიოში ყველაზე მსხვილ და სტაბილურ ბაზარზე. ისინი აღიარებენ, რომ ადგილობრივ მწარმოებელთა ნაწილი კონკურენციას ვერ გაუძლებს, თუმცა აცხადებენ, რომ ამაში დიდ პრობლემას ვერ ხედავენ. მთავრობის წარმომადგენელთა სიტყვებით კონკურენცია ყოველთვის წინსვლის საფუძველია. მათ ყველას შეახსენეს, რომ ევროკავშირისკენ ეს გზა გაიარეს ცენტრალური ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც, იგივე პოლონეთმა და რუმინეთმა.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

ქართული ტრადიცია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობაა

პირველი გვერდიდან

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდის ნომინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რადგანაც ეს პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იუნესკომ არამატერიული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ამოქმედების შემდეგ დაამტკიცა.

ეს ახალი ნომინაცია აამაღლებს საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით, რომელმაც არა მხოლოდ შემოინახა ქვევრის ღვინის დაყენების 8000-წლიანი ისტორია, არამედ დღესაც აცოცხლებს მას ქართული სტუმართმოყვარეობის, ადამიანთა ურთიერთობისა და მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღმნიშვნელი ტრადიციებით.

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდის შეტანა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში, ხელს შეუწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.

2011 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს მიენიჭა უმაღლესი ეროვნული ძეგლის სტატუსი.

2012 წლიდან კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილია მრავალდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა იუნესკოს ნომინაციაზე წარსადგენი დოკუმენტაცია. იუნესკოს მოთხოვნით მომზადდა ქვევრის ღვინის დაყენების ამსახველი 10 წუთიანი დოკუმენტური ფილმიც (რეჟისორი მერაბ კოკოჩაშილი).

ქართული მხარის მიერ უკვე შემუშავებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც მომავალში პარლამენტს წარედგინება განსახილველად.

ზოგადი ინფორმაცია

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად მიჩნეულია ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა, ადათ-ჩვეულები, კულტურული სივრცეები.

საქართველო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციას 2007 წელს მიუერთდა, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, ინვენტარიზაციას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას და ა.შ.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უკვე მიანიჭა გოგებაშვილის „დედაენას“, „ფერხულს“, „ბერიკაობას“, კახურ მრავალჟამიერს, მესხური ტენური ყველის დამზადების მეთოდს, ჟურნალის „დილა“ ტრადიციას.

მეძავი, ქერა და საბრალო ქალები

დღეს თბილისის კინოფესტივალზე მარგარეტე ფონ ტროტას ფილმს აჩვენებენ

ია ვეკუა

სიბნელიდან გასვლა

ქერა

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი გრძელდება, მის პროგრამაში წარმოდგენილი ფილმები კი მეტ-ნაკლებად ახერხებენ გახსნის ფილმის მიერ შემოტანილი მუხტის გაგრძელებას. ამ ორი დღის განმავლობაში უკვე ვნახეთ ფესტივალის საპატიო სტუმრის, ავსტრიელი ულრიხ ზაიდლის „სამოთხის“ ტრილოგიის პირველი ორი ფილმი: „სიყვარული“ და „რწმენა“. დარჩა „იმედი“. ფილმის ჩვენებას რეჟისორის მასტერკლასი მოჰყვება, რის გამოტოვებასაც მომავალ რეჟისორებს ნამდვილად არ ვურჩევთ.

კინოფესტივალის ფარგლებში კიდევ რამდენიმე მასტერკლასია დაგეგმილი, მათ შორის კომპოზიტორ იუნისი მარტინსისა, რომელიც 6 დეკემბერს ფესტივალის პროგრამაში წარმოდგენილ ორი უხმო ფილმსაც გაუწევს აკომპანიმენტს. 8 დეკემბერს კი ფრანგი რობინ კამპილოს მასტერკლასი გაიმართება კინომონტაჟის შესახებ.

წლევანდელ ფესტივალს ერთი განსაკუთრებული სექცია აქვს: „სიყვარული ადამიანის ძირითადი უფლებაა“. ამ სექციაში ძირითადად არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის თემაზე გადაღებული ფილმებია შესული, მათ შორის წლევანდელი კანის ტრიუმფატორი „ადელის ცხოვრებაც“, რომელიც ფესტივალის პროგრამაში ბოლო ფილმადაა ჩანიშნული და რომელზე დასასწრები ბილეთებიც პრაქტიკულად პირველივე საფესტივალო დღეს გაიყიდა.

სწორედ ამ სექციას წარმოადგენდა მაიკლ მაიერის „გასვლა სიბნელეში“ - პალესტინელი სტუდენტისა და ებრაელი იურისტის სიყვარულის შესახებ, რომელთა ურთიერთობასაც დაახლოებით იმდენი წინაღობა აქვს, რამდენიც ჩვენთან შეიძლება გეი წყვილს ჰქონდეს. თავად ფაქტი, რომ ფილმი პოლიტიკურად შეუთავსებელი ორი ერის წარმომადგენების შესახებაა, უკვე განგაწყობს, რომ ამ ისტორიისთვის ჰეფი ენდი არავის დაუწერია. ფილმი გაცნობით, ფლირტით, პირველი კოცნითა და პირველი სექსით იწყება, რასაც მაშინვე მოჰყვება პირველი დაბრკოლება, შანტაჟი, საიდუმლოს გაცემის მუქარა. საბოლოოდ ფილმი ისეთი მიმართულებით ვითარდება, რომ გეი თემატიკა მეორე პლანზე ინაცვლებს, ფილმის მთავარი ამბავი თითქოს ამის გარეშეც განვითარდებოიდა, ორი პრობლემის დაჯახება კი ფილმს ცოტა მოსაწყენს ხდის.

მესამე საფესტივალო დღე პოლონელი მალგორზატა შუმოვსკას ELLES-მა გახსნა და ვინც დილის სეანსზე მოსვლა დაიზარა, ნამდვილად უნდა ინანოს. ფილმის მთავარი გმირი ჯულიეტ ბინოშის პერსონაჟია, ELLE-ს ჟურნალისტი, რომელიც ელიტარული პროსტიტუციაზე წერს სტატიას. მისი წერილის გმირები სტუდენტი გოგონები არიან, რომელთა შემოსავლის წყაროსაც პროსტიტუცია წარმოადგენს. ფილმის დასაწყისში ბინოშის გმირი მხოლოდ ჟურნალისტია, მაგრამ ერთერთი გოგონას მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ მის კლიენტებს ძირითადად მოწყენილი ქმრები წარმოადგენენ, ქალის განწყობას სრულიად ცვლის - ახსენდება თავისი მოწყენილი ქმარი, მის გვერდით გატარებული ჩვეულებრივი დღეები, მაცივარში პროდუქტების შეწყობა, შვილებთან ურთიერთობის მოგვარება. შესანიშნავია სცენა, როდესაც ქმრის სტუმრებით სავსე მაგიდას უცებ იმ სტუდენტი გოგონების კლიენტები შემოუსხდებიან - აქ ქალი იფურჩქნება, ყველა მას უყურებს, ყველას ის სურს, უმღერიან, თვალებით აშიშვლებენ, ქმარი კი ყველას თანდასწრებით კოცნის. გადის ერთი წამი და ყველაფერი თავის კალაპოტში ბრუნდება, ის აღარ არის ქმრისთვის სასურველი, ყოველდღიური საუზმე კი კვლავ ყოველდღიურ საუზმედ იქცევა.

უიმედოდ მოსაწყენი აღმოჩნდა შვედური „ქერა“ (რეჟისორი ჯესპერ განსლანდტი). ფილმს კლასიკური ფორმულა ჰქონდა: სამი ქალიშვილი, სამივე უიღბლო, რომლებიც საკუთარ შეუმდგარობას მკაცრ და ცივ დედას აბრალებენ. ოჯახური წვეულებები სამივესთვის ერთგვარი სასჯელია, თუმცა, ამავდროულად, მშობლიურ სახლში დაბრუნების საშუალებაცაა, სადაც თავს მაინც უცხოდ გრძნობენ. მშობლისა და შვილების ურთიერთობის გამოსწორება მხოლოდ გადამწყვეტ მოვლენას შეუძლია, რაც ხდება კიდეც - დედა კომაშია, შვილები კი მის მოსავლელად ყველა საქმეს გვერდით დებენ. სწორედ აქედან იწყება მოწყენილობის მორიგ ტალღა: სინანული, დედის წიაღში დაბრუნების სურვილი, ცრემლები, ბავშვობის მოგონებები და ბლა ბლა ბლა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ფილმი კარგად მთავრდება... სუფრაზე მარილი მაინც დაპნეულიყო...

გუშინ ვნახეთ კიდევ ერთი საკონკურსო ფილმი - თურქული „ნაწილაკი“ (რეჟისორი ერდემ ტეპეგოზი), რომლის ყურებაც მაყურებლისთვის დაახლოებით ისეთი განსაცდელი აღმოჩნდა, როგორც „აპოლო 13-ის“ ეკიპაჟის წევრებისთვის შინ დასაბრუნებელი გზა. დავიწყებთ იმით, რომ ფილმმა ქალების თემა გააგრძელა და გავაგრძელებთ იმით, რომ სტამბოლის ერთერთი ყველაზე დაბალი ფენის გაჭირვებით, უიმედობით, ჭუჭყით, ჟანგითა და შმორის სუნით გაჟღენთილი ცხოვრების რამდენიმე დღიანი მონაკვეთი შემოგვთავაზა. ფილმის მთავარი გმირი ზეინაბი მარტოხელა დედაა, ჰყავს მოხუცი დედა, ავადმყოფი შვილი, სამსახურიდან აგდებენ, ახალი სამსახური საშინელებაა, ამას ემატება სახლის მეპატრონეც, რომელიც დაჟინებით სთხოვს ჩააბაროს სისხლი, რათა გაირკვეს, შეიძლება თუ არა ზეინაბი ორგანოს დონორი იყოს (ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ფილმში ეს დეტალი პრაქტიკულად არ ირკვევა). ასე ცხოვრობს ყველა და საკუთარ გაჭირვებას ალბათ მხოლოდ მაშინ ივიწყებენ, როდესაც ჭამენ. ჭამა მათი ერთადერთი გასართობია და ალბათ ამიტომაც ჭამენ ფილმში ამდენს და ამდენჯერ. „ნაწილაკს“ აქვს პრეტენზია თანამედროვე დიდი ქალაქების ეს მხარეც დაგვანახოს, შეგვახსენოს, რომ აქ შრეებად, ფენებად ცხოვრობენ და რომ ყოველი მომდევნო ფენა ზედაზე უფრო საბრალო და გაჭირვებულია.

დღეს ფესტივალი რამდენიმე კარგი ფილმით გაგრძელდება. მათ შორისაა, გერმანელი იან ოლე გერსტერის Oh Boy, ასევე მარინა ზენოვიჩის დოკუმენტური „რომან პოლანსკი: მოკვეთილი კაცი“, ულრიხ ზაიდლის „სამოთხე: იმედი“, რუფატ ჰასანოვის „ქამელეონი“, მარგარეტე ფონ ტროტას „ჰანა არენდტი“ და სარა ჯუდით მიტკეს „ტრანსმამა“.

„ნაციონალური მოძრაობა" დავით ნარმანიას 9 კითხვით მიმართავს

თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს 9 კითხვით მიმართავს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ეს კითხვები დაასახელა და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დავით ნარმანია ამ კითხვებზე პასუხებს გასცემს, გამოჩნდება, რამდენად აქვს ხელისუფლებას პოლიტიკური ნება გაატაროს გააზრებული რეფორმა.

„დღეს ჩვენ მივმართავთ რეგიონული განვითარების მინისტრს დავით ნარმანიას... ეს კითხვებია: 1. როდის ტარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. 2. რომელ ქალაქებში ვირჩევთ მერსა და გამგებელს პირდაპირი არჩევის წესით. 3. რამდენი და რომელი ახალი მუნიციპალიტეტები შეიქმნება. 4. როგორი საარჩევნო სისტემით ტარდება არჩევნები რაიონებსა და ქალაქებში. 5. როგორი საარჩევნო სისტემით აირჩევა დედაქალაქის საკრებულო. 6: რა იცვლება თვითმმართველობის დაფინანსების წესში. 7. რამდენად გაზრდის დადგემილი რეფორმა სახელმწიფო ხარჯებს. 8. იგეგმება თუ არა თვითმმართველობის მეორე დონის შექმნა. 9. რატომ არ გაკეთდა წელს ამომრჩეველთა ბიომეტრიული რეგისტრაცია და მოესწრება თუ არა ამის გაკეთება დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნებამდე?", - განაცხადა ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, პარლამენტში შეტანილი თვითმმართველობის კოდექსი ძალიან ბევრ კითხვას აჩენს.

„უახლოეს მომავალში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პროცესი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. პარლამენტში შემოტანილია ახალი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც ძალიან ბევრ კითხვას ტოვებს პასუხგაუცემელს. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა, როგორც სხვა არაერთ კანონპროექტთან დაკავშირებით მოხდა, ამ შემთხვევაშიც მიზნად არ ისახავს მოაწყოს შედეგზე ორიენტირებული შეხვედრები ამ კანონის განხილვის თვალსაზრისით და ცდილობს ეს კანონიც გაიტანოს დაჩქარებული წესით. ჩვენ ვთვლით, რომ აქ მთავარი არ არის ტექნიკური საკითხები, თუმცა ბევრი შენიშვნები გვაქვს ამასთან მიმართებაში. მთავარი არის ის, თუ რამდენად აქვს ხელისუფლებას პოლიტიკური ნება, რომ ეს პროცესი იყოს გამჭვირვალე და ეს რეფორმა გატარდეს გააზრებულად", - განაცხადა ჯაფარიძემ.

მარგველაშვილს ხელფასი გაუორმაგდება

საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა უკვე შესულია. „ნეტგაზეთის" ინფორმაციით, უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური ამბობს, რომ როგორც მან იცის, საკანონმდებლო ინიციატივა უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ შეიტანა.

„ინიციატივა, რომელიც პრეზიდენტის ხელფასის გაზრდას გულისხმობს, პარლამენტის საორგანიზაციო სამსახურში არის შემოსული. ალბათ, ბიუროს შემდეგ სხდომაზე იქნება ეს საკითხი შეტანილი. თუ არ ვცდები, დათო საგანელიძის შემოტანილია," - ამბობს ზვიად ძიძიგური „ნეტგაზეთთან" საუბრისას.

მისივე განმარტებით, მას არ აქვს ინფორმაცია, რამდენით გაიზრდება პრეზიდენტის ხელფასი, თუმცა წინასწარი ინფორმაციით, საუბარია ხელფასის 9000 ლარამდე ზრდაზე.

„დეტალები არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ გაზრდაზეა საუბარი და ეს ლოგიკურია, ვინაიდან დღეს პრეზიდენტს უფრო დაბალი ხელფასი აქვს, ვიდრე მინისტრებს, რაც, არა მგონია, სწორი იყოს. არსებობს იერარქია, თანამდებობრივი საფეხურები. არც ერთ ქვეყანაში ასე არ არის და საქართველოშიც არ შეიძლება ასე იყოს. რა თქმა უნდა, მე დავუჭერ მხარს ამ ინიციატივას," - განაცხადა ძიძიგურმა.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად პრეზიდენტის ყოველთვიური ანაზღაურება 4720 ლარია. მინისტრების ხელფასი კი 2013 წლის მარტში, მაშინდელი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, 3540-დან 6300 ლარამდე გაიზარდა.

ხადური: ლარის გაუფასურებაში არაფერი საპანიკო არ არის

დოლართან მიმართებით ლარის კურსი გაუფასურდა. დღეს საღამოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,70-ით განისაზღვრა.

ლარის კურსმა ცვლილება ერთი დღის განმავლობაში განიცადა. დღეს, საღამოს, საქართველოს ეროვნულ ბანკში გამართული სავალუტო ვაჭრობის შემდეგ 1 დოლარის ღირებულება 1,69 ლარიდან 1,70 ლარამდე გაიზარდა.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ვითარებას საგანგაშოდ არ მიიჩნევს. მისი თქმით, ეროვნულ ბანკს აქვს ყველა რესურსი, რომ ეროვნული ვალუტის კურსი ცვალებადი არ იყოს.

«არაფერი ამაში საპანიკო არ არის. ლარის კურსის ცვალებადობა არის ჩვეულებრივი მოვლენა იმისდა მიხედვით, იზრდება თუ მცირდება დოლარზე მოთხოვნა. ამ ეტაპზე, იმის გამო, რომ გააქტიურებულია იმპორტი, გაზრდილია ოდნავ მოთხოვნა დოლარზე. მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ბანკს აქვს ყველა რესურსი, რომ არ დაუშვას ლარის მკვეთრი გაუფასურება და ამის არც არანაირი ეკონომიკური საფუძველი ქვეყანაში არ არსებობს», - აცხადებს ნოდარ ხადური.

უამინდობა საქართველოში რამდენიმე დღე გაგრძელდება

აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მაღალმთაში დიდთოვლობაა. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილემ ნინო წვერავამ განაცხადა, ძლიერი ქარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დილამდე შენარჩუნდება. ქარის სიჩქარე 20-25 მეტრ წამიდან 17-22 მეტრ წამამდე შემცირდება, დღის განმავლობაში კი თანდათან შესუსტდება.

დღეს დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა ღამით -2+3 გრადუსი იქნება. უფრო დაბალი ტემპერატურაა მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოში. მაღალმთასა და მთაში თოვლი შენარჩუნდება. კერძოდ, თოვს გუდაურში, ბაკურიანში, ფასანაურსა და რიკოთზე.

შიდა ქართლში დღეს ღამით ჰაერის ტემპერატურა -5 გრადუსი იქნება, თბილისში - -1, 0; +1 - კახეთში.

ამათან, ყინვები, მშრალი და ცივი ამინდები 5-6 დეკემბერსაც შენარჩუნდება. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით -6-1 გრადუსია მოსალოდნელი; -8; -6 - შიდა ქართლში; -4; - 2 კახეთში; თბილისში - -2.

5-6 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში -2+3 გრადუსი იქნება, მათ შორის კოლხეთის დაბლობზე +1;+3 გრადუსი.

უნალექო ამინდები საქართველოში 8 დეკემბრამდე შენარჩუნდება, შემდეგ ამინდი ისევ შეიცვლება.

ახალი ხელისუფლების პირობებში კორუფციის საფრთხეები შეინიშნება

„საერთაშორისო გაჭვირვალობა - საქართველოს" კვლევის შედეგები

პირველი გვერდიდან

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ მომზადებულ კორუფციის აღქმის 2013 წლის ინდექსში საქართველო 177 ქვეყანას შორის 55-ე ადგილს იკავებს. რაც იმას ნიშნავს, რომ, გასულ წელთან შედარებით, ოთხი პუნქტით ჩამოვქვეითდით.

კვლევა, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა" ამზადებს, 100-ქულიანი სკალით ტარდება, რომელშიც ნული ძალზე კორუმპირებულს ნიშნავს, ხოლო 100 - სუფთა საჯარო სექტორს.

კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2013 წელს დანიაში, ახალ ზელანდიაში, ფინეთსა და შვედეთში დაფიქსირდა. ბოლო პოზიციებზე არიან სომალი, ჩრდილოეთ კორეა, ავღანეთი და სუდანი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „საერთაშორისო გამჭვირვალობის" 2013 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მდგომარეობას გაუარესებულად არ აღიქვამს.

ოთხი პუნქტით დაქვეითებას კი იმით ამართლებს, რომ სხვა ქვეყნებში უბრალოდ ამ კუთხით ვითარება გაუმჯობესდა.

„ამ კუთხით მდგომარეობა სტაბილურია და შესაძლოა, ვითარება სხვა ქვეყნებში გაუმჯობესდა," - განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ კორუფცია. ვერ მეტყვით, ვერც ელიტარული და ვეღარც არაელიტარული კორუფციის მაგალითებს. ჩვენ ძალიან მკაცრები ვართ საკუთარი თანაგუნდელების მიმართ, რათა ქვეყანაში კორუფცია არ დავუშვათ და სახელმწიფომ ფუნქციები შეასრულოს," - განმარტა ხადურმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" კი გუშინ, კვლევა გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობა და ამ პროცესთან დაკავშირებული კორუფციის საფრთხეები ახალ ხელისუფლებაშიც შეინიშნება. ორგანიზაცია აღნიშნულ ფაქტს „მბრუნავი კარის" პრობლემად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ, ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას ენერგეტიკის სამინისტრო იპყრობს.

„ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს თანამდებობაზე დანიშვნამდე პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდა ენერგეტიკის სექტორში მოქმედ რამდენიმე კომპანიასთან. ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი, რომელსაც თანამდებობა 2008 წლიდან უკავია, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2011 წელს შპს „ტოტ ენერჯის" დირექტორიც იყო, რაც კანონის პირდაპირი დარღვევაა," - აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევაში.

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვან მექანიზმებს შეიცავს აღნიშნული პრობლემების პრევენციისთვის, თუმცა კანონსა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შედეგად პროცესის ეფექტური რეგულირება ამჟამად არ ხორციელდება.

„ეფექტური მონიტორინგის არარსებობის შედეგად არის შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირთა მიერ მოქმედი ნორმების დარღვევას არავითარი რეაგირება არ მოჰყვება," - განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა.

ორგანიზაცია რეკომენდაციით მიმართავს ხელისუფლებას, მოხდეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ასევე არსებული საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში აღსრულების უზრუნველყოფა, რაც მოითხოვს იმის განსაზღვრას, რომელი უწყებები არიან პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა მიერ სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის დაცვის უზრუნველყოფაზე.

„ცვლილებები უნდა მოხდეს ქონებრივი დეკლარაციების სისტემაში და გაფართოვდეს იმ პირთა წრე, ვისაც ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვება, ხოლო საჯარო სამსახურის ბიურომ დეკლარაციებში მოცემული ინფორმაციის გადამოწმების სისტემა უნდა შექმნას, უნდა განხორციელდეს თანამდებობის პირთა საქმიანობის მონიტორინგი თანამდებობიდან მათი წასვლის შემდგომ გარკვეული პერიოდის მანძილზე, უნდა დაწესდეს შეზღუდვები თანამდებობის პირთა მოძრაობაზე, დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებსა და იმ სექტორების კომპანიებს შორის, რომელთა საქმიანობის რეგულირებაც ამ ორგანოებს ევალებათ. უნდა გაძლიერდნენ სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც საჯარო და კერძო სექტორების ურთიერთქმედებისას წარმოქნილი კორუფციის საფრთხეების შემცირება შეუძლიათ, ასეთი უწყებებია მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და კონკურენციის სააგენტო. უნდა შემცირდეს სუბიექტური გადაწყვეტილებების შესაძლებობა იმ სფეროებში, სადაც ხდება მთავრობისა და ბიზნესის ურთიერთქმედება. ამის მიღწევა შესაძლოა არაკონკურენტული პრივატიზაციისა და ღია ტენდერის გარეშე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალური შეზღუდვით," - აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევის რეკომენდაციების ნაწილში.

„საერთაშორისი გამჭვირვალობა - საქართველო" მთავრობასა და ბიზნეს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების აუცილებლობაზე საუბრობს.

ორგანიზაციამ მოამზადა კვლევა, სახელწოდებით „მთავრობასა და ბიზნეს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობა და ამ პროცესთან დაკავშირებული საფრთხეები", რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა.

კვლევის თანახმად, საქართველოში ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამდებობის პირთა მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს და საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია არაერთი მსხვილი ბიზნესმენი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეულ წევრებს პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ ბიზნესთან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევის თანახმად, მსგავსი მოძრაობა ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებშიც შეინიშნება.

„პარლამენტში 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობის" სახელით არჩეულმა მსხვილმა ბიზნესმენებმა დავით ბეჟუაშვილმა, გოჩა ენუქიძემ და კახა ოქრიაშვილმა ყოფილი მმართველი პარტია მას შემდეგ დატოვეს, რაც მან ძალაუფლება დაკარგა. ეს წარმოშობს საფუძვლიან კითხვებს იმასთან დაკავშირებით, რა მიზნით მოდიან ქართველი ბიზნესმენები პოლიტიკაში. ქართველი თანამდებობის პირებთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა კომპანიამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო სახელმწიფოსთან ურთიერთობის შედეგად. ეს სარგებელი გამოიხატება როგორც სახელმწიფო შესყიდვებით მიღებულ თანხებში, ისე საგადასახადო შეღავათებში, ექსკლუზიურ ლიცენზიებსა და უფლებებში, კონკრეტულ კომპანიებზე მორგებულ კანონმდებლობასა და კონკრეტული კომპანიების მიმართ სამართლადამცავი უწყებების ლმობიერ დამოკიდებულებაში," - აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევაში.

კვლევის ავტორები კონკრეტულ მაგალითებზეც საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ პარლამენტის ყოფილ და მოქმედ წევრებთან - კანდიდ კვიციანთან, არჩილ გეგენავასთან, თემურ კოხოძესა და გოჩა ენუქიძესთან დაკავშირებულმა კომპანიებმა სახელმწიფო შესყიდვების გზით მილიონობით ლარი მიიღეს.

„სამართალდამცავმა უწყებებმა არ გამოიძიეს პარლამენტის წევრებთან რუსუდან კერვალიშვილთან და დავით ბეჟუაშვილთან დაკავშირებული კომპანიების მიერ ჩადენილი სავარაუდო სამართალდარღვევები იმ პერიოდში, როდესაც ისინი საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენდნენ. არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ 2012 წელს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც კომპანიებს გარემოსადმი მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების საშუალებას აძლევდა, დეპუტატ კობა ნაყოფიასთან დაკავშირებული კომპანიის ინტერესებზე იყო მორგებული. თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიები 2012 წლამდე პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს სატელევიზიო რეკლამის ბაზარს. ტელეკომპანია „იმედმა" ორჯერ ისარგებლა საგადასახადო ამნისტიით იმ პერიოდში, როდესაც მისი დირექტორი და თანამფლობელი იყო ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი გიორგი არველაძე. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე ზვიად ჭეიშვილი, თანამდებობის დატოვების შემდეგ, ქართულ-ჩინურ კერძო კომპანიაში გადავიდა, რომელიც თანამდებობაზე მისი ყოფნის პერიოდში სამინისტროსგან ტყით სარგებლობის ლიცენზიების ერთ-ერთი მსხვილი მიმღები იყო," - აღნიშნულია კვლევაში.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო თანამდებობის პირების კერძო ინტერესების გავლენას, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებშიც ამჩნევს. კერძოდ, კვლევის თანახმად, თბილისის მერიის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირებულმა კომპანია გრინ სერვისმა, თბილისის მერიასთან დადებული ხელშეკრულებების წყალობით, მილიონი ლარი მიიღო, ხოლო თბილისის მუშტაიდის პარკი, საკრებულოს წევრ ალექსანდრე ნიკოლაიშვილთან დაკავშირებულ კომპანია „ჯეოგოლდს" უკონკურსოდ 49 წლის ვადით გადაეცა.

„კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ჩიქოვანი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ინარჩუნებდა კომერციულ ინტერესებს იმ სექტორში, რომლის ზედამხვედელობაც მისი თანამდებობრივი მოვალეობა იყო. მხოლოდ სათანადო გამოძიების საშუალებით შეიძლება იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი კორუფციას ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში. თუმცა, სათანადო რეგულირების არარსებობის და გამჭვირვალობის არარსებობის პირობებში, მსგავსი შემთხვევები ამცირებს საზოგადოების ნდობას მთავრობისა და პოლიტიკური სისტემის მიმართ, რაც მეტად სერიოზული პრობლემაა," - აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევაში.

პრეზიდენტობის კანდიდატი გორში

მიხეილ გაბრიჩიძე გორში ჩავიდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი ჯერ არ ამთავრებს თავის ტურნეს და კიდევ რამდენიმე გასვლაა დაგეგმილი. გორშიც პრობლემებია. თითქმის ყველგან პრობლემებია და ეს უნდა მოგვარდეს. გაბრიჩიძემ მოისმინა, მოინიშნა, გააცნო და გაეცნო. საინტერესო შეხვედრა იყო. საინტერესო და ორივე მხარისთვის ინფორმაციულად დატვირთული. გადავდივართ დეტალებზე. დეტალები უფრო პრობლემურია, თუმცა მათი მოგვარება შეიძლება.

გორის სპორტსკოლა ჩვეულებრივი სპორტსკოლაა. იმ შენობაში ჩვეულებრივი ვარჯიშები, პროცედურები ტარდება. იმ შენობაში აგვარებენ პრობლემებს. ალბათ, ჩვეულებრივ პრობლემებს. მაგალითად, თუნდაც იმას, რომ კალათბურთელების ვარჯიში (ერთ-ერთ ასაკობრივ ჯგუფში) ტარდება ერთი მოედნის ორ მხარეს და ვარჯიშის ხანგრძლივობა მხოლოდ 30 წუთია. მეტის საშუალება არ არის. ერთ ნახევარზე ვარჯიშობენ მონდომებული გოგონები და მეორე ნახევარზე - ასევე მონდომებული ბიჭები. ბავშვები ძალიან მცირე დროში ძალიან ცოტას იღებენ და ეს გამოსასწორებელია. ალბათ ისიც, რომ კალათბურთელები, მოჭიდავეები, ხელბურთელები და ფრენბურთელები ერთ დარბაზში არიან. დრო თანაბრად არ ნაწილდება. არ გამოდის. ამიტომ ყველა იჩაგრება.

მოსაგვარებელია დარბაზის პრობლემა. დარბაზში ბევრი სხვა ნიუანსია მოსაგვარებელი. სადღაც იატაკია შესაკეთებელი. სადღაც არ არის საკმარისი განათება. სადღაც მწვრთნელმა ბავშვს მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. სადღაც ალბათ ბავშვმაც უფრო ყურადღებით უნდა შეასრულოს საშინაო დავალება. ამ პრობლემების მოგვარებას დრო უნდა. გორელები ცალკე, საკალათბურთო დარბაზის აშენებას ითხოვენ. დარბაზის, რომელშიც არც მოჭიდავეები ივარჯიშებენ და არც ჰოკეისტები. არც წყალბურთელები შევლენ. ეს უნდა იყოს მხოლოდ კალათბურთელების დარბაზი. სამართლიანი მოთხოვნაა. მიხეილ გაბრიჩიძემ ეს პრობლემები მოისმინა, გაიგო და დაიმახსოვრა. ყველაფერი ჩანიშნულია და გაბრიჩიძე უკვე ფიქრობს პრობლემების მოგვარების სქემაზე. კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა და გაიზარდა პრობლემების რიცხვი. დარბაზი ერთ კვირაში ვერ აშენდება, მაგრამ სხვა პრობლემებს ყურადღებას მიაქცევენ. პრეზიდენტობის კანდიდატმა ეს თქვა და ის კიდევ რამდენიმე შეხვედრას გეგმავს. გორში ნიჭიერი ბავშვები არიან, მაგრამ... თბილისში მიდიან. გაბრიჩიძეს ესეც უთხრეს და მან კიდევ ერთი ჩანაწერი გააკეთა. ჩანაწერების რიცხვი იზრდება. სლოგანებით საუბარი არ არის გაბრიჩიძის სტილი. უფრო საქმე და მოქმედება. ეს უკეთესია და უფრო შედეგის მომტანი. ყველა მხარისთვის.

მიხეილ გაბრიჩიძე: «რეგიონებში შეხვედრები არ დამიმთავრებია. მქონდა შეხვედრები დასავლეთ საქართველოს საზოგადოებასთან. პატივი მქონდა ჩავსულიყავი გორში, სადაც შევხვდი ხაშურის წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, გორის წარმომადგენლებსაც. ენთუზიაზმი დიდია, მათ უყვართ კალათბურთი და, საერთოდ, სპორტი. მათ ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ. აუცილებელია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება და წარდგენა ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის. აუცილებელია მულტიფუნქციური დარბაზების მშენებლობა და, რა თქმა უნდა, მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლება. ამ გზით უნდა განვითარდეს რეგიონებში კალათბურთი. რა თქმა უნდა, რეგიონული კალათბურთის განვითარების გარეშე, ზოგადად, საქართველოში სპორტის ეს სახეობა ბოლომდე ვერ განვითარდება. მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ ეს პრობლემები მოგვარდეს. ამ ხალხის გულისტკივილი ჩემი, თქვენი გულისტკივილია. პრობლემებს მივხედავთ.“

მიხეილ გაბრიჩიძე გორიდან წავიდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი ჯერ არ ამთავრებს თავის ტურნეს. კიდევ რამდენიმე გასვლაა დაგეგმილი. გორშიც პრობლემები იყო. თითქმის ყველგან პრობლემებია და ეს უნდა მოგვარდეს. გაბრიჩიძემ მოისმინა, მოინიშნა, გააცნო და გაეცნო. საინტერესო შეხვედრა იყო.

„ნატახტარი“ საკალათბურთო ნაკრებთან თანამშრომლობას აგრძელებს

კომპანია „ნატახტარი“ საქართველოს ეროვნულ საკალათბურთო ნაკრებთან თანამშრომლობას აგრძელებს. ნაკრების გენერალური სპონსორი კალათბურთის ფედერაციასთან ახალ ხელშეკრულებაზე შეთანხმდა, რომელიც 4 დეკემბერს სპორტისადა ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაფორმდა.

კომპანია „ნატახტარი“ ეროვნულ ნაკრებს 2011 წლიდან თავისი ბრენდის - „ქარვას“ სახელით სპონსორობდა.

მხარეები თანამშრომლობით კმაყოფილი არიან და კიდევ ორი წლით ახანგრძლივებენ ხელშეკრულებას, თუმცა ამჯერად კალათბურთელთა ნაკრებს კომპანია „ნატახტარის“ სახელით დააფინანსებს.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა კომპანია «ნატახტარის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსს თორნიკე ნიკოლაიშვილს „ნატახტარის“ ლოგოთი დამშვენებული ეროვნული ნაკრების მაისური და ნაკრების წევრთა ავტოგრაფებიანი ბურთი გადასცა, რის შემდეგაც მასმედიისთვის კომენტარები გაკეთდა...

„სამი წელია, რაც კომპანია „ნატახტართან» ვთანამშრომლობთ. ამ ხნის განმავლობაში კომპანიამ, როგორც გენერალურმა სპონსორმა, დიდი დახმარება გაუწია კალათბურთის ფედერაციას. მნიშვნელოვანია, რომ «ნატახტართან“ თანამშრომლობა კიდევ ორი წლით გრძელდება და ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას ბიუჯეტში დახვდება ის 260 ათასი ლარი, რომელიც კალათბურთის განვითარებას მოხმარდება.»

„ჩვენთვის საამაყოა, რომ უკვე სამი წელია კალათბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორები ვართ, - ამბობს კომპანია «ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი. - თანამშრომლობას ვაგრძელებთ კიდევ ორი წლით. ჯამური თანხა დაახლოებით 260 ათასი ლარია. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ნაკრები ფინალურ ეტაპზე გავა, რაშიც დარწმუნებული ვართ, იქნება ბონუსებიც. მადლობას ვუხდით კალათბურთის ფედერაციას, რომ ამ თანამშრომლობის გაგრძელების საშუალება მოგვეცა“.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026427

შემსყიდველი	სსიპ საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	03.12.2013 15:52
წინადადებების მიღება იწყება	05.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	09.12.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	15600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	20
მოწოდების ვადა	30.12.2013
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	156 ლარი
გარანტიის ოდენობა	156 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026577

შემსყიდველი	ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	04.12.2013 12:57
წინადადებების მიღება იწყება	06.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2013 წლის 15 დეკემბრიდან 2013 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	52 ლარი
გარანტიის ოდენობა	36 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026460

შემსყიდველი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	03.12.2013 17:19
წინადადებების მიღება იწყება	05.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	09.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	610 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	38300000-საზომი ხელსაწყოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	38311000-ელექტრონული სასწორები და აქსესუარები, 38341300-ელექტროსიდიდეების საზომი ხელსაწყოები, 38341320-ვოლტმეტრები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 20 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	5 ლარი
გარანტიის ოდენობა	6 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026448

შემსყიდველი	შპს ო.ჩხობაძის სახ. ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	03.12.2013 16:54
წინადადებების მიღება იწყება	05.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	09.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	55000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33140000-სამედიცინო სახარჯი მასალები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	550 ლარი
გარანტიის ოდენობა	550 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

რანიერი პსჟ-ში კონკურენტს ხედავს

„მონაკოს“ იტალიელი დამრიგებელი კლაუდიო რანიერი აღიარებს, „პარი სენ ჟერმენის“ სახით, ძალიან ძლიერი კონკურენტი გვყავსო.

„პსჟ ძალიან ძლიერ კონკურენტად მიმაჩნია. ამ გუნდს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია.

„მონაკო“ ლიგა ერთში ახლახანს დაბრუნდა და ჩვენთვის ამჟამინდელი ფორმის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. ყურადღებას მხოლოდ საკუთარ თავს ვაქცევთ და არა სხვა გუნდების შედეგებს».

«ბარსელონა» იანვარის ტრანსფერებს უარყოფს

„ბარსელონას“ ვიცე-პრეზდენტი ხოსეპ მარია ბართომეუ იანვარში ფეხბურთელების დამატებას უარყოფს. ბოლო დროს გავრცელებული ხმების თანახმად კი კატალონიელები სერხიო აგუეროსა და ერთი ცენტრალური მცველის დამატებით არიან დაინტერესებული.

„აგუეროსთან არანაირ მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ. გავრცელებულ ინფორმაციას სიმართლეს არ შეეფერება. გუნდის გადახალისების დრო ჯერ არ მოსულა. გუნდი უამისოდაც დაბალანსებული და კონკურენტუნარიანია. ასე რომ, იანვარში ფეხბურთელების დამატებას არ ვგეგმავთ“, ბართომეუს ციტირებს Football Espana.

ლიოვი «ოქროს ბურთზე» წარდგენილი კანდიდატებისთვის ხმის მიცემაზე უარს ამბობს

Goal.com-ის ცნობით გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი „ოქროს ბურთის“ კანდიდატთა შორის არჩევანის გაკეთებისგან თავს იკავებს.

„ოქროს ბურთის“ მაძიებელთა გაფართოებულ შემადგენლობაში გერმანიის ნაკრების მოთამაშეა, ლიოვს კი მხოლოდ სამი საუკეთესო ფეხბურთელის დასახელების უფლება ჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, გერმანელი სპეციალისტის მიერ ხმის მიცემაზე უარის თქმის მიზეზი სწორედ ასეთი შეზღუდვაა.

შენგელიას რეკორდული 7

პირველი გვერდიდან



დენვერელები ბრუკლინს ზედიზედ მოგებული 6 მატჩით ეწვივნენ და მიჯრით მოგებული მეშვიდე შეხვედრით შინ დაბრუნდნენ. შენგელიამ და კომპანიამ პირველი მეოთხედი 29:27 მოიგო, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა იძალეს და საბოლოოდ ძალიან იოლად - 111:87 გაიმარჯვეს.

ბრუკლინელებს თითქოს ტრავმირებული მოთამაშეები აკლდათ, რომ მათ სიას გუნდის ერთ-ერთ ლიდერი პოლ პირსიც დაემატა - ხელი მოიტეხა.

ერთი სიტყვით, მეტად სავალალო მდგომარეობაში არიან ბრუკლინელები. ეგაა, მომრავლებულმა ტრავმიანობამ სათადარიგოებს გაუხსნა გზა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თორნიკე შენგელის მომდევნო შეხვედრაშიც მიეცემა თამაშის საშუალება, რომელმაც მისთვის სარეკორდო 7 ქულას პლუს 2 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრაც შემატა. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრების წევრმა 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა და 1 პერსონალური ფოლიც მიიღო.

„ნეთსის“ რიგებში 22 ქულით ყველაზე შედეგიანი ჯო ჯონსონი აღმოჩნდა, ხოლო მირზა ტელეტოვიჩი, რომელიც მეტ სათამაშო დროს ითხოვს და ამავე მიზეზით სხვა კლუბში გადასვლას ლამობს, 13:55 წუთში ოთხივე სროლა გააცუდა და უქულოდ დარჩა.

„ბრუკლინს“ 5 მოგების წილ 13 მარცხი მოუგროვდა და ატლანტიკის დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზეა, მთელს აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მე-13 ადგილი უკავია.

დღეს გამთენიისას ბრუკლინელებს უახლოეს მდევარ „ნიუ იორკ ნიქსის“ მასპინძლობა უწევდათ.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ვერა და ვერ ააწყო თამაში ზაზა ფაჩულიას «მილუოკი ბაქსმა» - ბოსტონთან საპასუხო მატჩი 100:108 წააგო (პირველ შეხვედრაში ბევრისთვის გასაკვირვად მილუოკელებმა „სელტიქსს“ შინ მოუგეს).

ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და მოედანზე 18 წუთით გამოჩნდა. ფაჩულიამ 5-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 8 ქულა დააგროვა. ამასთან, 4 მოხსნა და 1 პასიც მიითვალა. „მილუოკიში“ 19 ქულით ბომბარდირი გახდა ოჯეი მაიო, „ბოსტონში“ კი ჯორდან კროუფორდმა 25 ქულა მიითვალა.

სამი მოგებითა და 14 წაგებით ფაჩულიას გუნდი აღმოსავლეთში ბოლო ადგილზე რჩება. მორიგი შეხვედრა მილუოკელებს ცენტრალური დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერ „დეტროიტ პისტონზთან“ უწევთ.